ოქმი:**ო03. 3724057001**
თარიღი:**26/02/2024**

ოქმი № 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2024 წელი 26 თებერვალი
ქ.ოზურგეთი
13.00 -13.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ღაჟონია, ტ. აროშიძე, ლ. ბიგვავა, ბ. მელუა, ნ. ქარჩავა, გ. მდინარაძე, მ. ვაშალომიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს განხორციელებული - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის საბიუჯეტო პროგრამის -„კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის" მონიტორინგის ეფექტიანობის აუდიტის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი
თანამომხსენებელი: კობა ხაბალაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია დღის წესრიგში წარმოდგენილ საკითხზე, აღნიშნა, რომ ამ სახის აუდიტი მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ პირველად კეთდება, მისი საფუძველია საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის, ვრცლად საკითხზე ისაუბრა თანამომხსენებელმა კ.ხაბალაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი საბიუჯეტო პროგრამის -„კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის" განსაზღვრული პროექტების ეფექტიანად გამოყენება და პოპულარიზაცია, აუდიტის ჯგუფმა შერჩევით შეისწავლა ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები და აქტივობები, კერძოდ, საბიუჯეტო პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების მონიტორინგის დანერგვის და ეფექტიანობის მიმართულებით, აუდიტის შედეგად გამოვლინდა არაარსებითი ხასიათის ნაკლოვანებები. აღნიშნა, რომ რეკომენდებული სისტემის გაუმჯობესებისათვის საჭიროა ცალკეული ღონისძიებების განხორციელება.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს საკითხის წარდგენას

ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარედგინოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი